ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 17 ივნისი **№ 1497**

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

იკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.

გ. დ. მარკოვიჩი—სადოსტაქრო— 12½ 1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—8)

რუსული პრესის დღესასწაული

1903 წლის იანვრის პირველ რიცხვებში შესრულდება 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთში დაარსდა ყოველდღიური პრესსა. 1703 წელს რუსეთის უდიდესმა ხელმწიფემ, პეტრე პირველმა, ბრძანა—გამოიცეს გაზეთი «Вѣдомости о военныхъ и иныхъ дѣлахъ». ამ პირველ გაზეთს, დედოფლის ეკატერინე მეორის დროს, მოჰყვა სხვა პერიოდული გამოცემებიც და მაშინ დაარსდა, სახელმწიფო გამოცემებთან ერთად, კერძო პირების ჟურნალებიც.

მეტად სუსტი და მძიმე იყო პირველი ნაბიჯი რუსულის პრესსისა. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად მარტივი იყო, რომ საჭიროებაც არ არსებობდა—ყოფილიყო ბევრად თუ ცოტად დამოუკიდებელი პრესსა. მეორეს მხრით, სამმართველო ცენტრალიზაცია ისეთი მძლავრი იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა საზოგადოების წარმომადგენელთ რაიმე აზრი გამოეთქვათ სახელმწიფო საქმეების შესახებ ამიტომ მაშინდელ პერიოდულ გამოცემათ თითქმის მხოლოდ ვიწრო ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდათ: ჟურნალ-გაზეთები ადგილს უთმობდნენ ხელოვნურ ნაწარმოებს. კრიტიკას, ხოლო პუბლიცისტიკა აღკრძალული ხილი იყო, რომელიც შემთხვევით და ძვირად ჰპოულობდა ადგილს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე...

1848 წლის ამბებმა, რომლებმაც შეარყიეს მთელის დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი, ცუდი დღე დააყენეს ჯერეთ ახალგაზრდა რუსულს პრესსას. მთავრობამ ეჭვის თვალით შეჰხედა პრესსას, რომელიც ხშირად ლაპარაკობდა საზღვარ გარეთის საქმეების შესახებ. ცენტრალურმა მმართველობამ გადასწყვიტა—ყოველი ღონე იღონოს რომ რუსეთში არ გადმოატანინოს ევროპის ამბები. ამიტომ საცენზურო პირობები კიდევ უფრო სასტიკი შეიქნა და პრესსა სრულიად დაბაბუნდა. მხოლოდ მე 50 წლების მეორე ნახევარში გაცხოველდა ჟურნალების საქმე, მაგრამ პოლიტიკა და პუბლიცისტიკა ისევ ქურდულად ჰპოულობდა ადგილს...

ბედმა გაუღიმა რუსულ პრესსას მხოლოდ იმ დალოცვილ ეპოქაში, რომელსაც განახლების ხანას უწოდებენ რუსეთის ისტორიაში, სახელდობრ: მესამოცე წლებში. იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბრძანებით, მთავრობა შეუდგა მომზადებას უდიდესის რეფორმისას, რომლის განხორციელება აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა რუსეთისათვის. დაიწყო შესანიშნავი მზადება ცენტრალურ მმართველობაში, საგუბერნიო კომიტეტებში და თვით საზოგადოებაშიაც. განახლების სიომ დაჰბერა და რუსეთში ჯერ არ გაგონილი სჯა-ბაასი გაიმართა სახელმწიფო საქმეების შესახებ. პრესსას მძიმე და მაგარი ლაგამი აეხსნა და ისიც ჩაება საერთო რეფორმაციულ ფერხულში.

მე-60 წლების სარეფორმო მოძრაობა შეეხო რუსეთის ცხოვრების ყველა მხარეებს და, რასაკვირველია, მის გავლენას არ ასცდა პრესსაც. შეუძლებელი იყო პერიოდულ გამოცემათა ძველს პირობებში დატოვება. აღორძინებული საზოგადოება, თუმცა უჩინრად და სუსტად, მაგრამ მაინც შეიქნა მონაწილე ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში. საზოგადოების წარმომადგენელნი მიიწვიეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულებად, ერობაში წევრებად, ადმინისტრაციაში—მომრიგებელ შუამავლებად და სხვა. განახლებულს ცხოვრებას უფრო დამოუკიდებელი გამომხატველიც სჭირდებოდა და ამიტომ აუცილებელი შეიქმნა მწერლობის პირობათა შემსუბუქება.

მანამდის საცენზურო საქმე ჩაბარებული ჰქონდა საერო განათლების სამინისტროს. მაგრამ ეს იურიდიულად იყო, ფაქტიურადკი საცენზურო მოვალეობას ასრულებდა ყოველი ცენტრალური უწყება. თითოეულს უწყებას ნება ჰქონდა აეკრძალა ამა თუ იმ საქმეზე ლაპარაკი და, რადგანაც ყველა უწყებას დუმილი ერჩია, ამიტომ პრესსა გაჩუმებული იყო. მესამოცე წლებიდან, როგორც ვთქვით, ცხადი შეიქნა, რომ შეუძლებელი იყო მწერლობის ამგვარ პირობებში დატოვება და, მართლაც, 1863 წელს გამოიცა ახალი კანონი ბეჭდვითი საქმის შესახებ. ამ კანონმა მოაწესრიგა აწეწილ-დაწეწილი საქმე პერიოდულ გამოცემათა ცენზურის შესახებ. ეს საქმე ჩაბარა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელთან დაარსდა ბეჭდვითი საქმის განსაკუთრებული უმთავრესი სამმართველო, და რომელსაც დაექვემდებარა პროვინციის საცენზურო კომიტეტები. სატახტო ქალაქების პერიოდული გამოცემანი სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ ეგრედ წოდებულ წინა ცენზურისაგან (предварительная цензура), ხოლო დანარჩენ გამოცემათათვის დროებით დატოვებულ იქმნა წესი დასაბეჭდ მასალის ცენზურისათვის წარდგენის შესახებ. კანონში ცოტად

ფელეტონი

კიდევ საერთო მოღვაწეობაზე

I

დაიბეჭდა-რა „კვალში“ ბ. ჟორდანიას პირველი კრიტიკული განხილვა ჩვენი წერილებისა, ჩვენ დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ იგი, რადგანაც წინასწარ მოველოდით დამჯდარ, მშვიდობიან და მიუდგომელ დაფასებას ჩვენ მიერ წამოყენებულ კითხვებისას. ამას იმიტომ კი არ მოველოდით, ვითომც ჩვენ რაიმე დამსახურება მიგვიძღოდა მკითხველის წინაშე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საერთო მდგომარეობა იმ გვარი გვგონია, როდესაც ვერც მკითხველს, ვერც ჩვენ თავს ვერ დავაკმაყოფილებთ სიტყვების თამაშობით, ერთგვარ აზრთა კეკლუცობით, რომელსაც არ ძალუძს არავითარი საგნის განმარტება. ჩვენი მოლოდინი გაგვიცრუვდა, რადგან ამ ზემოხსენებულ წერილში ის ვერა ვნახეთ, რასაც ვეძებდით და რაზედაც ჩვენ უფლებაც გვქონდა—ჩვენ ვერ ვპოვეთ იქ აზრის კრიტიკა და ამ გარემოებამ პოლემიკის სურვილი ერთბაშად მოგვიკლა. მაგრამ წარსულ კვირას ბ. ჟორდანიამ დაბეჭდა მეორე კრიტიკული განხილვა ჩვენის ნაწარმოებისა და აი, სწორედ ამ „განხილვამ“ ხელმეორედ აღგვიძრა ლაპარაკის სურვილი, რადგან მასში იმგვარი კითხვებია წამოყენებული, რომელთ გადასინჯვა ჩვენ უსარგებლოდ საქმედ არ მიგვაჩნია. და თუმცა აქაც, ამ წერილშიაც ავტორი ვერ განთავისუფლებულა ერთგვარ წერის მანერისაგან, რომელსაც თითქოს მკითხველის სასაცილოდ აგდების მიზანი აქვს—მეტად გულუბრყვილოდ მიაჩნია ავტორს ეს ჩვენი მკითხველი—მიუხედავად ამისა, წერილი ყურადღების ღირსია და ამიტომაც ჩვენ მასზე მოვილაპარაკებთ და ამასთან პირველ წერილსაც ცოტა არ იყოს შევეხებით.

პირველი საკამათო კითხვა ამნაირია: შეიძლება თუ არა, ჩვენს პირობებში, პრაქტიკულ მოქმედებაში ვიხელმძღვანელოთ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპით? თუ შეიძლება, მაშინ ჩვენს მოკამათე დასთ არ აქვთ საერთო მოქმედების ნიადაგი; თუ არ შეიძლება, ამ გვარ ნიადაგის გარკვევაა საჭირო. ჩვენ ვსთქვით და კიდევაც ვამბობთ, რომ ამ პრინციპს პრაქტიკულ მოქმედებაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან ჩვენი ცხოვრება გვითითებს „საერთო ინტერესებზე“. თუ ჩვენა გვაქვს საერთო ინტერესები, ჩვენ საერთო მოქმედებაც გვესაჭიროება. საქმე იმაშია მხოლოდ, როგორი ინტერესებია ეს საერთო ინტერესები? ერთს ჩვენს წერილში დავასახელეთ კიდეცა ეს ინტერესები და მასთან ისიცა ვსთქვით, რომ ამ ჩვენ მიერ დასახელებულ კითხვებს საერთო ძალღონით გარკვევა სჭირიათ. როგორ უნდა შეჰხებოდა კრიტიკა ამნაირად კითხვის დაყენებას? უწინარეს ყოვლისა მას უნდა გაერკვია ის, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი უარ-ჰყოფა კლასთა ბრძოლის პრინციპით ხელმძღვანელობისა პრაქტიკულ მოქმედებაში. მას შემდეგ, დაამტკიცებდა-რა ამ ჩვენ უარ-ჰყოფის უსაფუძვლობას, იგი დაარღვევდა ჩვენს მეორე წინადადებას, სახელდობრ იმას, ვითომ ჩვენს მოკამათე დასებს აქვთ საერთო ინტერესები, რადგან სწორედ ამ ინტერესების არსებობაზეა დამყარებული ჩვენი უარ-ჰყოფა კლასთა ბრძოლის პრინციპით ხელმძღვანელობისა.

ბ. ჟორდანია კი, ერთის მხრით, კლასთა ბრძოლის პრინციპს იცავს, მეორეს მხრით, საერთო ინტერესებზედა ლაპარაკობს. ჩვენის აზრით, ეს ორი წინადადება ერთი-ერმანეთში შეუთანხმებელია. კლასთა ბრძოლის პრინციპი გვასწავლის, რომ ორ მებრძოლ კლასსთაგან ერთი უსათუოდ ყოველ-შემთხვევაში ოპოზიციაში უნდა იყოს. ნიშანდობლივი ხასიათი ოპოზიციისა იმაშია, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ დასებთან—იგი მუდმივ ბრძოლაშია, მუდმივ შეჯახებაში და იქ, საცა მებრძოლთა შორის საერთო ინტერესებიც იბადება, იქ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი არ გამოდგება სახელმძღვანელოდ პრაქტიკულ მოქმედებაში. როგორ აკავშირებს ბ. ჟორდანია ორ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ აზრებს, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ, აშკარაა, მას ვერ გაუთვალისწინებია ამ კავშირის შეუძლებლობა. და ამ შეუგნებლობით აიხსნება სწორედ ის გარემოებაც, რომ ბ. ჟორდანია თავსაც იწონებს იმითი, რომ მან დიდი ხანია, რაც მიაქცია ყურადღება საერთო ინტერესების არსებობაზე ჩვენში. განა „მართლა ვსთქვით ოდესმე, ამბობს ბ. ჟორდანია, რომ ქართველობას არავითარი «საერთო ინტერესი“ არა აქვსო? არა, არასოდეს არ გვითქვამს..“ „ერი ვერასოდეს ვერ დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოსო“ (№ 23). ასე თუ ისე, ჩვენს მოკამათე დასებს საერთო ინტერესები ჰქონიათ. ამას თვით ბ. ჟორდანიაც აღიარებს. მხოლოდ, რა გამომდინარეობს ამ საერთო ინტერესების არსებობიდამ? კრიტიკამ რას უნდა მიაქციოს ამ შემთხვევაში თავისი ყურადღება? ერთს საგანზედ—მან უნდა დააფასოს ის, თუ რა და რა შეადგენს ამ საერთო ინტერესებს. მართლა დავასახელეთ ჩვენ ყველა ჩვენი საერთო ინტერესები, თუ ზოგიერთი არ დაგვისახელებია? მართლა აქვთ იმ ჩვენ მიერ დასახელებულ კითხვებს მნიშვნელობა, თუ არა? აი ნამდვილი კრიტიკა სწორედ ამას უნდა შეჰხებოდა. ბ. ჟორდანია კი სხვანაირად მოიქცა. მან გვითხრა, რომ მას უკვე ჰქონია ამაზედ ბაასი და რომ კითხვა ერთხელ საბოლოოდ გადაუწყვეტია და, ამ ჟამად ლაპარაკიც მეტია ამ საგანზედ. ჩვენ სრულიად უარ-ვყოფთ ამგვარ კითხვების გადაჭრის მონოპოლიას და ამასთან ვამბობთ, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის, თუ რანაირად გადაწყდა ამ კითხვების ბედი

ასე
ჩანაქ
ბუნე კითხვა
ჩხდება, როგო
რანის საჭიროებაზე
საც ეს საჭიროება

თუ ბევრად განისაზღვრა გამოცემათა უფლების საზღვრები და მოწესრიგდა მათი მოსპობისა და დასჯის საქმეც.

ამნაირად, 1861 წლის საცენზურო დებულებამ ბევრად გააუმჯობესა ბეჭდვითი საქმის ვითარება და შესაძლებელ ჰყო პრესსის განვითარება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პრესსა მხოლოდ მე 60 წლებში დაიბადა რუსეთში. სატახტო ქალაქებში დაარსდა ისეთი მნიშვნელოვანი და გავლენიანი ჟურნალ-გაზეთები, როგორიც იყვნენ: „სოვრემენნიკ“ (ნეკრასოვის ხელში), „დელო“, სალტიკოვის, „ოტეჩესტვენნია ზაპისკი“, „გოლოს“, „პორიადოკ“, „მოსკოვსკი ტელეგრაფ“ და სხვანი. ამავე დროს ფეხი აიდგა პროვინციის პრესსამაც და მალე, თუმცა დიდის ტანჯვითა და ვაებით. საპატიო ადგილი დაიჭირა რუსეთის ცხოვრებაში. პრესსის ასპარეზი გაფართოვდა, მისმა მნიშვნელობამ იმატა და ცოტად თუ ბევრად გავლენაც დაიმსახურა...

მაგრამ ეს დღე გრძელი არ ყოფილა... მას შემდეგ არ შეწყვეტილა ლაპარაკი ბეჭდვითი საქმის კანონების გადასინჯვის საჭიროების შესახებ და მთავრობაც არ სტოვებდა უყურადღებოდ ამ გარემოებას.

მხოლოდ სულ უკანასკნელ დროში გამოჩნდა საიმედო ნიშნები მოსალოდნელ ცვლილებისა... იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ბედნიერის ნება-რთვით, მთავრობა შეუდგა მზადებას დიდის რეფორმის მოხდენისათვის საერო განათლების საქმეში. თვითმპყრობელის ხელმწიფის სურვილისამებრ, ხსენებულ მზადებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამაც და, აი, პრესსას ნება მიეცა თავისუფლად იბაასოს სწავლა-განათლების საქმეთა შესახებ,—იმ საქმეთა შესახებ, რომელნიც დღემდის ბნელის ბურუსით იყვნენ შემოსილნი... როგორც 40 წლის წინად, როდესაც მზადდებოდა საგლეხო რეფორმა, ისე ეხლა საჭირო შეიქმნა საზოგადოების აზრის გაგება განზრახულ დიად რეფორმის შესახებ და, როგორც მაშინ, ეხლაც ცხოვრებამ წინ წამოაყენა კითხვა პრესსის შესახებ. აქა-იქ სატახტო ქალაქების გაზეთებში ვკითხულობთ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს გადასინჯოს ბეჭდვითი საქმის შესახები კანონები.

ამ რიგად, 200 წლის იუბილეი რუსულის პრესსისა დგება სწორედ იმ დროს, როდესაც ცხოვრება საჭიროდ ჰქმნის ამ საქმეში ცვლილების მოხდენას. იმედი ვიქონიოთ, რომ ლაპარაკი და განზრახვა ამაოდ არ ჩაივლიან და რუსეთის პრესსას მართლა დღესასწაული დაუდგება, რომ 200 წლის იუბილეი წრფელის სიხარულით იქმნება გადახდილი და არა ოფიციალურის უგულობით და ნაძალადევის ალტაცებით.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ივნისი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია ვლადი-ვოსტოკში და ნიკოლაევსკში დამოკნის დაარსება და დროებითი წესები ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე მოვაჭრეთაგან ახალ გადასახადისა.

15 ივნისს მოსკოვიდან პეტერბურგს ჩამოვიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრესძე. 15 ივნისის საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

15 ივნისს გენერალი ფონ მოლტკე და გერმანელ სამხედრო დეპუტაციის ოფიცრები წარუდგენენ ხელმწიფე დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს.

რიგა. საიუბილეო გამოფენაზე იყო უკვე 80.000 კაცი.

ოდესსა. 15 ივნისს, 9 საათზე და 45 მინ ტიბეტის საგანგებო დესპანები, გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელის შეკინის თანხლებით, ჩქარის მატარებლით პეტერბურგს წავიდნენ. დესპანები დიდის ამბით გააცილეს. დესპანების უფროსმა ლამა-დორჯიევმა მადლობა გამოუცხადა განსაკუთრებულის მიღებისა და ლახვედრისათვის 3 დღის განმავლობაში პირველ რუსეთის ქალაქში.

მოსკოვი. სადგურ ფანიპოლისა და ნეგორელაიას შუა, ბრესტის გზაზე მუშა მატარებელი № 73 დაეჯახა მუშა მატარებელსავე № 56, დაიმტვრა სამი ვაგონი. ორივე ლოკომოტივი დაზიანებულია. ერთ კონდუქტორს ორივე ხელები მოეგლიჯა.

როგოჟის ნაწილებში დიდი ცეცხლია; დაიწვა 18 სახლი; ცეცხლში დაიღუპა ორი ბავშვი.

ჩისტოპოლი. ადგილ-ადგილ, სადაც წვიმები არ ყოფილა, გაზაფხულის ნათესობა შესამჩნევად წახდა; მინდვრის ბალახი იღუპება; ქვავი მწიფდება; მკა ადრე იქნება.

ლონდონი. ქვემო პალატამ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, მიიღო ბილის ის პარაგრაფები, რომელიც ეხება გასაზიდ ნახშირის ბაჟს. გიქს ბიჩი კამათის დროს ამტკიცებდა უსაფუძვლობას იმ აზრისას, რომ ეს ბაჟი განდევნის ინგლისის ნახშირს საზღვარ-გარეთის ბაზრებიდან. საფრანგეთის, ბელგიის და დანიის ცნობები, რომელიც მას ხელთ აქვს, ამტკიცებენ ბაჟი დააწვება უცხოეთელ მყიდველს.

კონსტანტინეპოლი. გალატის ნაწილში ერთი 18 წლის ბერძენი ავად გახდა და ნიშნები შავის ჭირისა არის. მიღებულია ზომები.

მადრიდი. პალატა. სილველა ჰკითხულობს ამ მოკლე ხანში მომხდარ სარწმუნოებრივ შეტაკებებზე, სჩივის კანონების დარღვევას და თხოულობს პატივისცემით მოეპყრან კათოლიკების უფლებას (სასტიკი პროტესტი ისმის). მორეტი პასუხს ეუბნება; იგი ამართლებს მთავრობის მოქმედებას და ამტკიცებს, რომ კათოლიკებს შეუძლიათ მოახდინონ სარწმუნოებრივი მანიფესტაციები, მაგრამ პოლიტიკური კი არა. იგი აგონებს პარლამენტს, რომ კონსერვატორების სამინისტროს დროს ამისთანა შემთხვევებში ჯარებს აყენებდნენ ქუჩებში. მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობა ყველას აიძულებს პატივისცენ კანონს. სხდომა დაიხურა დიდის ხმაურობით.

როტერდამი. კრიუგერი ერთის კვირით წავიდა კამპენში. ვაკზალზე მის გასაცილებლად მოვიდნენ მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენლები. დიდ ძალი ხალხი მხურვალე ოვაციით შეხვდა პრეზიდენტს.

კამპენი. კრიუგერი ჩამოვიდა აქ დღეს დილით. კომიტეტის თავმჯდომარემ მისალები სიტყვა უთხრა პრეზიდენტს, შემდეგ კრიუგერი მიიღო ქალაქის საბჭომ.

შანხაი. ლიუკუნის თხოვნით, შენი იყო ყველა აქაურ კონსულებთან სადარბაზოთ, რათა შეაგონოს ყველას პეკინიდან და შანხაიდან უცხოეთის ყველა ჯარების გაყვანა. როგორც ისმის, კონსულებმა წარუდგინეს ეს საკითხი თავიანთ მთავრობათ.

პეკინი. ხმა, ვითომც ჩინეთის მთავრობას ეთხოვოს უცხოელებისათვის დახმარება ტუნფუსიანის წინააღმდეგ, ტყუილია. ჩინეთის წყაროების მიხედვით, ტუნფუსიანი მშვიდობიანად იმყოფება თავის სამშობლოში უსაქმოდ და უჯაროდ.

ლეიფციგი. დილით დაატუსაღეს გენჩი, ლეიპციგის ბანკის მეორე დირექტორი.

მიდელბურგი. რიჩმონდთან შეტაკების დროს ინგლისის გარნიზონს მოუკლეს 6 და დაუჭრეს იმდენივე.

ხარკოვი. საოლქო სასამართლომ, მოისმინა რა სავაჭრო ბანკის წევრების თხოვნა, რომ ისინი კოტრად იქმნან ცნობილნი კოტრად იცნო ბანკი და დანიშნა სამი ნაფიცი მზრუნველი. კასას და ქონებას ბეჭედი დააკრეს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. განხეთქილება ლიბერალთა შორის უფრო და უფრო აშკარა ხდება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამას წინად, როცა პალატაში კამათი იყო იმის შესახებ, რომ ბურების დედაკაცები და ბავშვები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ინგლისურ ბანაკებში, ასკვიტი და გრეი არ მიემხრნენ კემპბელ-ბანერმანს და კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. ასკვიტმა საჭიროდ სცნო თავისი ქცევის თაობაზე განმარტება მიეცა საზოგადოებისთვის და ამიტომ წარსულ ხუთშაბათს ერთ ლიბერალურ კრებაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში ასკვიტმა მკაფიოდ გამოსთქვა, თუ როგორ უყურებს სამხრეთ-აფრიკის ომსა.

«კრებაზე, რომელიც ამას წინად კემპბელ-ბანერმანისა და გარკორტის პატივსაცემლად გამართეს,—სთქვა ასკვიტმა,—მე და ჩემ მეგობრებს ისე გვიხსენიებდნენ, როგორც განდგომილებს და მუხანათებს და ის აზრი გამოსთქვეს, ვითომც ჩვენ ეხლა სხვანაირად ვუყურებდეთ სამხრეთ-აფრიკის ომს, ვიდრე წინად ვუყურებდით. ამისთანა განაჩენის წინააღმდეგ მე პროტესტს ვაცხადებ. ლიბერალთა შორის არც ერთი ისეთი უფროსი და მღვდელ-მთავარი არა მწამს, ვისაც განრისხებისა და ცოდვათა შენდობის უფლება ჰქონდეს».

შემდეგ ასკვიტი შეეხო იმ კამათს, რომლის დროსაც კემპბელ-ბანერმანს მხარი არ მისცა.

«მე იმ აზრისა ვარ, რომ ყველა ამბები, ვითომც ბრიტანიის ჯარის-კაცები, ანუ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები უდიერად იქცეოდნენ სამხრეთ-აფრიკაში (ისე, როგორც ცნობები ბურების უდიერობაზე), უსაფუძვლოა.

ლიტერატურაში. ამისათვის ჩვენ ხელმეორედ ვუბრუნდებით ამ საგანს და ვეკითხებით მკითხველს: თუ ჩვენში არის საერთო მოქმედების ასპარეზი, თუ ეს ასპარეზი ყველასათვის თვალსაჩინოა, სად არის ის პარტია, რომელიც მოქმედობს ამ საერთო ნიადაგზედ? თუ ნიადაგი არის, პარტიაც უნდა იყოს. თუ პარტია არ არის, ორში ერთი—ან ნიადაგი არ არის, ან კიდევ გაურკვეველია. ჩვენში ფეხს იდგამს დას-დასად მოქმედება. საერთო ინტერესები კი მაინც გვაქვს. ან იქნება ეს ინტერესები იმ თვისების არიან, რომ მათ ჩვენი შეერთება არ ძალ-უძთ? ამ შემთხვევაში, იქნება სხვა რაიმე უფრო მეტის ყურადღების ღირსია? რაიც ჩვენ შეგვეხება, ჩვენ დავასახელეთ ხუთი კითხვა, რომელიც, ჩვენის აზრით, ქართულ საერთო ინტერესს შეადგენს: ენის დაცვა, მრეწველობის განვითარება, მეურნეობის განმტკიცება, თვითმმართველობაში ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა. ჩვენ გვგონია, რომ ამ კითხვების ჯეროვან განმარტებაზეა აშენებული ჩვენი ეროვნული აღორძინება და ამისათვის ჩვენ ვეცადეთ დაგვეკავშირებია საზოგადოებრივი პროგრამა ჩვენს ეროვნულ პროგრამასთან. ბ. ჟორდანიამ თავის მხრით არ გვით-
ვვეთანხმება ის, თუ არა მოქმედების
ის გათვალისწინებაში, არ გვითხრა,
ივანება აქვს ჩვენმიერ დასახელე-
ავტორი მხოლოდ გვიჯავ-
ო დავიწყეთ სამშობლო
პარაკი, მაშინ, რო-
ასთვის ცხადია,
ყველამ ვიცით, რომ „ენა, ლიტერატურა, ისტორია—საზოგადოთ კულტურა—ის დედა-ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ყოველნაირი პარტიაო“.

თუ მართლა ყველამ ვიცით, ხომ კარგი, ამის გამეორება მაინც არ გვაწყენს, რადგან სანამ ჩვენს სკოლაში, სასამართლოში და სხვა დაწესებულებაში ქართულ ენას ჯეროვანი ადგილი არ ექნება დაჭერილი, იმდრომდე სამშობლო ენაზე ლაპარაკი უსაჭიროეს საგნად უნდა მიგვაჩნდეს. ეგ ჩვენთვის ახალი არ არისო. ჩვენც გვითქვამს ჩვენი აზრი ამის შესახებო. რათა ჰგონია ბ. ჟორდანიას, რომ, რასაც ჩვენ ვამბობთ, სწორედ იმის, ბ. ჟორდანიას გასართობად ვამბობთ? თუ მართლა ჩვენ ერთის შეხედულობისა ვართ სამშობლო ენის საჭიროებაზე, მივცეთ მხარი მხარს და ამ ერთ კითხვაში მაინც შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. მხოლოდ, თურმე ამ კითხვაშიაც ჩვენ ერთმანეთისთვის გაუგებარნი ვყოფილვართ. ბ ჟორდანია არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ ხალხის გარეთ, ჩვენს საზოგადოების წრეებში სამშობლო ენა სრულებით განდევნილია. ერთს სიტყვას არ ამბობს იმაზედაც, რა საშუალებით შეიძლება სკოლებში, სასამართლოებში და ეკკლესიებში ამ ენის დაცვა. ბ. ჟორდანია საზოგადო აზრის გამოთქმას სჯერდება და ამბობს: „სამშობლო ენის გამავრცელებელი და გამაძლიერებელი ყველაზე უფრო ის არის, ვინც ხალხის მოთხოვნილებას იცნობს და მისივე ენის საშუალებით აკმაყოფილებს“. მხოლოდ ავტორი არას ამბობს, რა ნაირად შეიძლება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როდესაც ჩვენ ხელთ არ გვაქვს ის საჭირო იარაღი, ურომლისოდაც შეუძლებელია მოქმედება—ეროვნული სკოლა. ჩვენ იმ განზრახვით დავაყენეთ ქართულ ენის კითხვა პირველ ადგილზე, რომ გვინდოდა საერთო საფიქრებელ საგნად გაგვეხადა და სრულებითაც აზრად არა გვქონდა ამ კითხვის დაყენებაში პირველობა დაგვეჩემებია.

რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, რომელნიც ჩვენ „საერთო ინტერესების“ საგნად მიგვაჩნია, ბ. ჟორდანია არას გვეუბნება ამის შესახებ; არ გვეუბნება საჭიროა, თუ არა **ეროვნულ** მრეწველობის და მეურნეობის დაცვა და განვითარება. იმასაც არ გვეუბნება, შეიძლება თუ არა ეროვნული მრეწველობა-მეურნეობის კითხვა საერთო ინტერესის საგნად ჩავთვალოთ. ბ. ჟორდანია ამ კითხვას გვერდს უხვევს და პირდაპირ იმის დამტკიცებას ჰლამობს, რომ ჩვენი ეკონომიური მოძღვრება წმინდა ბურჟუაზიული მოძღვრებაა და მასში ხალხის ინტერესი სრულებით არ არის დაცული. ამაზე ჩვენ ქვემოდ მოვილაპარაკებთ, მხოლოდ საკითხია: თუ მრეწველობა-მეურნეობის-კითხვა გამოკაკლით საერთო ინტერესების აღნუსხვიდან, ამის მაგიერობა რამ უნდა გასწიოს? ან იქნება ეკონომიურ კითხვებს ადგილი არა აქვს საერთო მოქმედების ასპარეზზე? თუ ბ. ჟორდანია ამ აზრისაა, მას უნდა გაერკვია ეს კითხვა მით უმეტეს, რომ სწორედ აქ არის ძარღვი ჩვენის უთანხმოებისა და წინააღმდეგობისა. რად ერიდება ბ. ჟორდანია ამგვარ კითხვებს? ნუ თუ მას მართლა ის აწუხებს, რომ ჩვენ რაღაც „მეორე დასის“ შექმნა გვინდა და მაგით „მესამე დასს“ რაღაც უნდა დაუშავდეს? „ვითომ და თუ პირველი და მესამე დასი არსებობს, ამბობს ავტორი, რატომ მეორე დასი არ უნდა გამოიჩეკოსო, და აი ბ. ჯორჯაძესაც ამ საქმის მეთაურობა მოუსურვებიაო“ (№ 23). ვანუგეშებთ ბ. ჟორდანიას, რომ ამ ჟამად ჩვენ კითხვების გარკვევის სურვილით ვხელმძღვანელობთ და სხვა არაფრით. ჩვენ დასებზედ ლაპარაკი არცა გვქონია (ამ კითხვას გაკვრით შევეხეთ) და არცა გვაქვს; ჩვენ არც გვესმის ის კლასსიფიკაცია, რომლის ძალითაც ჩვენში თურმე უკვე პირველი და მესამე დასი ყოფილა და მეორე კი ეხლა უნდა იშვასო.

ასე, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ, შეიძლება თუ არა, ბ. ჟორდანიას აზრით, საერთო ინტერესებათ ჩავთვალოთ ჩვენ მიერ დაყენებული ხუთი კითხვა? თუ შეიძლება, საჭიროა თუ არა, იმის თვალში, ეს საერთო ინტერესები საერთო მოქმედების ნიადაგად გავხადოთ? თუ არ შეიძლება, რაგვარი კითხვები დაედება საფუძვლად ამნაირ მოქმედებისათვის? არც ერთ ამ კითხვაზე ავტორი არავითარ პასუხს არ იძლევა. მხოლოდ მთელი მისი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ გამოააშკარავოს ვითამდა „ბურჟუაზიული“ ხასიათი ჩვენი აზრებისა. ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

არჩილ ჯორჯაძე.

(გაგრძელება იქნება)

ამიტომ მეც და ჩემმა მეგობრებმაც ეჭვის თვალით შევხედეთ იმ ცნობას, ვითომც დატყვევებული ბურების დედაკაცები და ბავშვები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამასთანავე არც საკმაო ცნობები გვქონდა, რომ ამ საგნის თაობაზე საფუძვლიანი აზრი შეგვედგინა. შემდეგ ამ საქმეზე კამათი უბრალო დეპუტატმა (დილონ ჯორჯმა) აღძრა და არა პარტიის ოფიციალურმა წინამძღოლმა. დასასრულ ყველა ის ცნობები, რაც კი ჩვენ სამხრეთ-აფრიკის საქმეთა მდგომარეობის შესახებ ვიცოდით, საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ბურების დედაკაცებისა და ბავშვების ინგლისურ ბანაკებში შეკრება აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, რადგანაც უამისოდ ეს ბურები უფრო მეტ წამებასა და ტანჯვაში იქნებოდნენ. ყველა ამ ზემონათქვამის შეხედვით, ყოველ ლიბერალ-დეპუტატს სრული უფლება ჰქონდა კენჭის ყრის დროს ისე მოქცეულიყო, როგორც უმჯობესად მიაჩნდა და მე ჩემის მხრივ ის ვარჩიე, რომ კენჭის ყრაში სულ არ მიმეღო მონაწილეობა».

შემდეგ ასკვიტმა სხვა საგნებიც მოიხსენია, რომლების გამოც ომის მოწინააღმდეგეთ არ ეთანხმება.

«ამას წინად ზავის მეგობრებმა ლონდონში კრება მოახდინეს და ბურების სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს. გადაჭრით ვკიცხავ კრების რეზოლუციას და ვაცხადებ, რომ მთელ ბრიტანიის იმპერიაში არაა ისეთი კაცთ-მოყვარე კაცი, როგორიც სამხრეთ-აფრიკის უმთავრესი კომისარია. მე დაუღალავად ვებრძოდი ჩემბერლენის თავს დასხმას, მაგრამ იმ აზრისა ვარ, რომ არც ინგლისის ერს, არც ინგლისის მთავრობას არ ეწადათ ომი და რომ ბურებმა ძალით ჩაგვითრიეს ამ ბრძოლაში. გადაწყვეტით არ ვეთანხმებით იმ ლიბერალებს, რომლებიც ეხლანდელ ომს ბოროტ-მოქმედებად სთვლიან და ჰფიქრობენ, რომ ამ ბოროტ-მოქმედების მოსასპობად უსათუოდ ბურებს უნდა მორჩილდება გამოუცხადოთ (ისმის პროტესტი და ყვირილი: «ეგ არავის არ უთქვამს!»). თუმცა პრინციპიალურად შემოერთების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ამასთანავე ვფიქრობ, რომ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის წინანდელ წესების აღდგენა შეუძლებელია».

კონსერვატიულ გაზეთებს, რასაკვირველია, ცაში აჰყავთ ასკვიტი, მაგრამ ლიბერალებზე კი მისმა სიტყვამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. «დეილი ნიუს»-ი სამართლიანად ამბობს, რომ ასკვიტმა კემბელ-ბანერმანის ჯიბრით სთქვა ეს მეტად წინდაუხედავი სიტყვაო.

✡ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ინგლისის საზოგადოებაზე იმ კრებას, რომელიც ბურების მეგობარმა ინგლისელებმა მოახდინეს ამას წინად. გაზეთებმაც პოლემიკა ასტეხეს ამის თაობაზე:

ლიბერალური «დეილი ნიუს»-ი ამბობს: «ბურების მეგობრების კრება განათლებისა და სამართლიანობის ბრწყინვალე გამარჯვებად ჩაითვლება. მთავრობის მომხრეები ყოველ ნაირად ცდილობდნენ, რათა ინგლისელებისათვის აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება წაერთმიათ და მთავრობის პოლიტიკაზე არ ელაპარაკებინათ; ყოველ-ნაირი ღონის-ძიება იყო მიღებული, რომ ლონდონის ქუჩის ბრბო მოქალაქეთა მშვიდობიან კრებისათვის მიესიათ. «ფინანსიალ ნიუს»-მა ხმაც კი დაავრცელა, ვითომ კრებაზე კრიუგერის სამადლობელი წერილი იქმნება წაკითხულიო. «მამული შვილების» თაოსნობით, მართლაც და დიდ-ძალი ქუჩის ბრბო მოგროვდა, მაგრამ ბრბო იძულებული იყო მხოლოდ ქუჩაში ეყვირა. კრება კი ამავე დროს სრულის წესითა და რიგით მიმდინარეობდა. კრებაზე მოლაპარაკე ორატორები არა თუ მარტო მთავრობის პოლიტიკასა ჰკიცხავდნენ და თავის დამოუკიდებლობისათვის თავ-დადებულს მამაც ხალხს იცავდნენ, არა კრების წევრები თავიანთ უფლებასა დ საზოგადოდ ინგლისის მოქალაქის უფლებასაც იცავდნენ, რათა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საქმეების თაობაზე ყოველ ინგლისელს თავისუფლად შეეძლოს თავისი აზრის გამოთქმა.»

«პატრიოტულ» «დეილი მაილ»-მა სულ სხვა თვალით შეჰხედა საქმეს. მისი აზრით, ამ შემთხვევაში ინგლისის ერის აზრის გამომხატველი ის ხალხი იყო, რომელიც ქუჩაში შეიკრიბა და არა ის პირები, ვინც კრებაში მონაწილეობა მიიღეს. მთავრობამ თავისი მოვალეობა დაარღვია მით, რომ ამისთანა კრების გამართვის ნება მისცა ხალხს 250 პოლიციელი რომ არა ყოფილიყო კრების დასაცველად დანიშნული, მამულიშვილები უსათუოდ კრებას ჩაჰშლიდნენ ამნაირად, თუმცა წესიერად ჩაიარა და დიდ-ძალი ხალხიც დაესწრო, მაინც ეს კრება მხოლოდ უბრალო, უმნიშვნელო ფარსი იყო.

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს ეხლა კი შეუძლიან თავისუფლად ამოისუნთქოს. როგორც ვიცით, პალატის საბიუჯეტო კომისიამ გადასწყვიტა, რომ მომავალ წლის ბიუჯეტში ოთხი პირდაპირი გადასახადის ბადლად პრინციპიალურად შემოსავალზე გადასახადი შეიტანოს. თუმცა ფინანსის მინისტრი დიდს პროტესტს აცხადებდა და ამტკიცებდა, რომ კომისიის გარდაწყვეტილება მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდებს მთავრობასაო, მაინც კომისია თავისას არ იშლიდა. წარსულ სამშაბათს კაიო კიდევ ერთხელ მივიდა და გამოუცხადა საბიუჯეტო კომისიას, რომ მემროსიდანვე შემოსავალზე გადასახადის დაწესება შეუძლებლად მიმაჩნიაო. მინისტრმა გაახსენათ: წლეულს ისეთი დიდი რეფორმები იყო შემოღებული, რომ ხარჯის მძლეველები ისეც გაჭირვებაში ჩავარდებიანო; ამას გარდა, ის ხარჯებიც რომ ერთბაშად გავაუქმოთ, რომლებიც 600 მილიონ ფრანკ შემოსავალს აძლევენ ხაზინას, ამით სახელმწიფო ფინანსებს სულ მთლად შევარყევთ და ამას ვერც ერთი ფინანსის მინისტრი ვერ დასთანხმდებაო. დასასრულ, კაიომ გამოაცხადა, რომ მთავრობა მზადაა, ყველა ცნობები შეკრიბოს, რაც საჭიროა პირდაპირი გადასახადების რეფორმისთვისაო. კომისიამ მინისტრის განცხადება მოისმინა და შემდეგ 11 ხმის უმეტესობით 5-ის წინააღმდეგ ამნაირი რეზოლუცია დაადგინა: «რაკი მთავრობა პირობას იძლევა, ვეცდები, რომ შესავალზე გადასახადი ამ ახლო მომავალში დაწესდესო, ამას გარდა, არწმუნებს, რომ შემოსავალზე გადასახადის 1902 წლის 1 იანვრიდანვე შემოღება პრაქტიკულად შეუძლებელიაო, ამიტომ საბიუჯეტო კომისია ეთანხმება მთავრობის განცხადებას და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება». ამისთანა რეზოლუციის შემდეგ ცხადია, რომ 1902 წლის ბიუჯეტში ისევ ოთხი პირდაპირი გადასახადი იქნება დატოვებული.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკიდან იწერებიან, რომ ბაჟების თაობაზე რუსეთთან ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის მრეწველ წრეებზეო: თვით უკიდურესი პროტექციონისტებიც კი შეშინდნენ, ვაი თუ რუსეთთან სადამოჟნო ომი მოგვივიდესო და სხვანაირ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი. «მრეწველობის ეროვნული ამხანაგობის» წევრთა წლიურ კრებაზე დაადგინეს, რომ სადამოჟნო კანონმდებლობა მხოლოდ მრეწველობის იმ დარგებს უნდა იცავდეს, რომლებსაც ნამდვილად უჭირთ ასეთი დაცვაო. კორესპონდენტი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თვით უკიდურესმა პროტექციონისტებმაც კი შესცვალეს თავიანთი შეხედულება ამ საგანზე და სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ ასეთი ცვლილება მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ამერიკისათვის ამ ბოლოს დროს მეტად საჭირო შეიქმნა გარეშე ბაზრები და ამ მიზეზით ყველა სხვა სახელმწიფოებს უფრო ზომიერად უნდა ექცეოდესო.

სამხრეთ-აფრიკა. პრეტორიიდან იუწყებიან: «ინგლისის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ის პირები, ვისაც კი ტრანსვაალის მთავრობის მიერ ფული აქვთ მიბარებული, მოვალენი არიან ინგლისის მოხელეებს გადასცენ ეს ფული. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, კანონით დაისჯება ქურდობისათვის.

უნგრეთი. მალე პარლამენტის დეპუტატების არჩევნები უნდა მოხდეს და ყველა პარტიები ეხლავე ბრძოლისათვის ემზადებიან. ეხლანდელი ოპოზიცია უნგრეთის ერისა და დამოუკიდებლობის პარტიებისაგან შესდგება; თითონ ეს დამოუკიდებლობის პარტიაც ორ დასად გაიყოფა: ერთი კოშუტის დასია, მეორე—უგრონის. ესენი ერთმანეთს უფრო ემტერებიან, ვიდრე მთავრობის პარტიას. კოშუტისა და უგრონის დასებ შუა არავითარი პრინციპიალური განსხვავება არაა, მხოლოდ კერძო პირადი მიზეზების გამო არიან გადაკიდებულნი. განთქმულ ლაიოშ კოშუტის სიკვდილ შემდეგ, მისი უფროსი შვილი ფრანც კოშუტი სამშობლოში დაბრუნდა. მანამდე იტალიაში სცხოვრობდა და უფრო რკინის-გზის საქმეებს მისდევდა, ვიდრე უნგრეთის პოლიტიკას. დამოუკიდებლობის პარტიის ზოგიერთმა წევრმა წინადადება მისცა, რომ პარტიის წინამძღოლობა ეკისრა. თუმცა ამისთანა დიდი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა სრულებით არ შეუძლიან, საამისოდ საჭირო შნო და ნიჭი არა აქვს, ფრანც კოშუტმა მაინც მიიღო ეს წინადადება და პარტიის წინამძღოლობას ისე შეჰხედა, როგორაც მამისაგან მიღებულ სამკვიდროს; ამიტომ მეტ სახელად «უნგრეთის მემკვიდრე ბატონიშვილი» დაარქვეს, მაგრამ პარტიის ყველა წევრებს როდი მოეწონა კოშუტის უფროსობა და ამ უკმაყოფილო წევრებმა გაბრიელ უგრონის მეთაურობით ცალკე დასი შეადგინეს. უგრონი ნიჭით გაცილებით მაღლა სდგას კოშუტზე. ისიც კია, რომ ამ განხეთქილებას თითონ ფრანც კოშუტიც ხელს უწყობს თავის მოქმედებით. კოშუტის დასი თვით დელეგაციის კრებებშიაც კი არ იღებს მონაწილეობას და ამიტომ გაბოროტებით უსაყვედურებს უგრონისტებს, რომლებმაც წრევანდელ დელეგაციებშიაც მონაწილეობა მიიღეს. კოშუტის მომხრეები ჯიბრით სამთა კავშირსაც კი იწონებენ მხოლოდ იმიტომ, რომ უგრონისტებს არ მოსწონთ, თუმცა კი თითონ კოშუტის მომხრეებსაც ესმით, რომ სამთა კავშირი მავნებელია უნგრეთისათვის.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის თავმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ, როგორც გამგეობის, ისე ქალაქის სკოლების გამგე-კომისიის აზრითაც საჭიროა ავლაბარში პროგიმნაზიის გახსნა და რომ გამგეობისა და ხსენებულ კომისიის ეს აზრი წარედგინება ქალაქის საბჭოს.

◆ კავკასიის საიუბილეო გამოფენა რომ უფრო სასურველად იქმნეს მოწყობილი და მნახველს შეეძლოს იქონიოს სრული წარმოდგენა ამიერ კავკასიის ეტნოგრაფიაზე, გამოფენის კომისარმა თავ. ა. ზ. ანდრონიკაშვილმა მისწერა კავკასიის ყველა გუბერნატორებს, რომ მოწვეულ იქმნენ გამოფენაზე ტიპიური წარმომადგენელნი ყველა ხალხებისა, მათ საეროვნო ტანისამოსში გამოწყობილნი, და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც შეუძლიანთ გამართონ სახალხო სიმღერები და ცეკვა-თამაში; კომისარის აზრით, კარგი იქნება, რომ გამოფენაზე იქმნენ სხვა-და სხვა ბოგანო ერების წარმომადგენელნი, მათ მათის კარვებითა და სადგომებით. აგრეთვე გამოფენის იმ განყოფილების სისრულისათვის, რომელშიაც გამოფენილ იქმნება სხვა-და-სხვა სანადირო იარაღები, საჭიროა გამოგზავნილ იქმნეს ყველა იმ იარაღების ნიმუშები, რომელნიც ან ახლა არიან ხმარებაში, ან და ოდესმე ყოფილა. კომისარი სთხოვს გუბერნატორებს, თუ შესაძლებელი იქმნება გამოფენაზე აღნიშნულ წარმომადგენლების გამოგზავნა, შეატყობინონ ამ საქმისათვის მას, თუ რა ხარჯი იქმნება საჭირო გამოფენის გამგე-კომიტეტისაგან.

◆ ფინანსთა სამინისტროს რკინის გზის დეპარტამენტმა დაადგინა შემდეგი ტარიფი კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე ექსპონატების გადასაზიდად: პირუტყვები, მათი პატრონები ღ აგრეთვე სხვა და სხვა ნაწარმოებნი გადაიტანება იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც საზოგადოთ შემოღებულ იქმნება საგამოფენო ექსპონატებისათვის. გამოფენიდან დაბრუნების დროის ექსპონენტებს შეუძლიანთ ისარგებლონ უფასოთ რკინის გზით, თუ ისინი გაემგზავრებიან თავისი ნივთებით რკინის გზის იმ სადგურიდან, სადაც ჩამომხტრან, და იმ სადგურამდე, საიდანაც წამოსულან და აგრეთვე თუ წარუდგენენ სადგურის უფროსს გამოფენის კომისარისაგან მოწმობას, რომ ისინი იყვნენ გამოფენაზე, ექსპონატები არ გაუყიდნიათ და ეხლა შინ ბრუნდებიან.

◆ რუსეთის სანავოსნო სავაჭრო საზოგადოებამ კავკასიის გამოფენაზე ექსპონენტების ტარიფი შეამცირა 50%-ით, ხოლო ექსპონატებისა—40%-ით.

◆ „კავკასიისა და მერკურის“ სანავოსნო საზოგადოებას თანხმობა გამოუცხადებია, გამოფენიდან დაბრუნების დროს უფასოდ წაიყვანოს ექსპონენტები თვისი ნაწარმოებებით იმ გზით, რომლითაც მოსულან გამოფენაზე.

◆ მომავალ საიუბილეო გამოფენის კომისარმა ა. ანდრონიკაშვილმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ, რაც შეიძლება, დააჩქარონ იმ 10.000 მანეთის მიცემა, რომელიც ქალაქმა დაუნიშნა გამოფენას შემწეობად. კომისსარიატს სულ ხელში აქვს ეხლა 3000 მან. და ხარჯები კი ბევრად მეტი. თანაც საქმეს დაბეჯითება ეჭირვება, რადგან 20 აგვისტო შორს არ არის.

◆ საიუბილეო გამოფენის დამტკიცებულ გეგმის მიხედვით სულ იქნება 43 პავილიონი, აქედან 40 პავილიონი კერძო პირების დაწესებულებები იქნება, 1 ცენტრალური პავილიონი, 1 თეატრი და 1 ბუფეტი.

◆ ქუთაისის სავაჟო გიმნაზია წელს დაასრულა 40 კაცმა, რომელთაგან 21 ქართველია; მოგვყავს ამათი გვარები: ზურაბ მაჩაბელი, შალვა მიქელაძე (ორივეს ოქროს მედალი მიუღია), დ. ჯაფარიძე, ივ. ჯაფარიძე, ფილიპე ჟორჟოლიანი, ნიკოლოზ ქარცივაძე, პავლე კუპრაძე, ვლად. ოქუდჟავა, გიორგი თაყაიშვილი, დავ. ციციშვილი, გიორგი აბაკელია, კონსტ. ადამია, სილ. გაბუნია, ალექ. გვარამიშვილი, იასონ ჟორდანია, ვლად. კლდიაშვილი, ვლად. სალარიძე, ვლადისლავ თუმანიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მიხეილ პავპანიძე და ანდრია ჩიჯავაძე.

◆ ტფილისის მეორე დედათა გიმნაზიაში წელს სწავლა დაამთავრა 44 მოსწავლეთაგან ორმა ქართველმაც—ივლიტე ფურცელაძემ და თამარა ხერხეულიძემ.

◆ თელავის სასულიერო სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა 17 მოსწავლემ. ესენი სულ ქართველები არიან. აი მათი გვარებიც: გ. კოლოტაძე, კ. გელოვანი, გ. გუგუტაშვილი, ნ. ზირახიშვილი, მ. კობიაშვილი, ს. ნამურაძე, ნ. ფხალაძე, ალ. ახმეტელოვი, გ. ხელაშვილი, დ. კობახიძე, ივ. ზირახიშვილი, ფ. ხუციშვილი, იოილიე ნაცვალოვი, ვ. ტაბლიევი, იაკ. კობიაშვილი, ანტ. ქიტიაშვილი და ესტ. სისაური. ამათში პირველებმა 5 მოსწავლემ პირველ ხარისხით გაათავეს.

◆ საერო განათლების სამინისტრომ ახსნა, რომ, რადგანაც ექვს კლასიან ეპარქიალურ სასწავლებლის პროგრამა არ შეესაბამება ქალების შვიდ კლასიან გიმნაზიის პროგრამას, ამიტომ ეპარქიალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულს გიმნაზიის მერვე კლასში შესვლისათვის დამატებითი ეგზამენი უნდა დააჭერინონ.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროში ეხლა დაბალ სამეურნეო სკოლის გახსნის რამდენიმე შუამდგომლობაა; სხვათა შორის, შუამდგომლობს კავკავი და ქუთაისი.

◆ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის გამართული საპედაგოგიო კურსები გაგრძელდება 30 ივნისამდე.

◆ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ერევნის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდება.

◆ ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროს სატარიფო კომიტეტში განიხილავენ საერო განათლების სამინისტროს მიერ აღძრულ კითხვას მოსწავლეთა ექსკურსიების-

თვის შეღავათიან ტარიფის შემოღების შესახებ.

✦ გზათა სამინისტროში შეუმუშავებიათ და დაუმტკიცებიათ ახალი წესები მძიმე ავადმყოფთა რკინის გზით გადაყვან-გადმოყვანისა.

✦ აზრად აქვთ დააწესონ ახალი თანამდებობა „მატარებლის უფროსისა“. მცოდნე პირთა აზრით, შეიძლება შეერთდეს ეს ახალი თანამდებობა და უფროსი კონდუქტორობა, მაშინ შესაძლებელი იქმნება მოიწვიონ ამ თანამდებობაზე განათლებული პირები, რომელთაც თავიანთ ავტორიტეტით შეეძლებათ ვაგონებში წეს-რიგის დაცვა. ეხლა კი წერა-კითხვის ძლივს მცოდნე კონდუქტორებს ყურს არავინ ათხოვებს და ამიტომ წესიც არ არის.

✦ სამშაბათს, 19 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე **ავჭალის ცხენის რკინის** გზის კონცესიონერების ბ.ბ. ალიბეგოვისა და ყორღანოვისა, რომელნიც უჩივიან ბელგიის უსახელო საზოგადოებას პირობის დარღვევისათვის 200,000 მან. ჯარიმის გადახდევინებას.

✦ ქალაქის გამგეობის სადგომში სამშაბათს, 19 ივნისს, საღამოზე, სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის **ქუჩების** სახელების დარქმევა.

✦ **ტფილისის პირუტყვთა მფარველი საზოგადოების** გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას—გააკეთოს ვერის ხიდთან თავშესაფერი, რომ დაცულ იქმნენ ძლიერის სიცხისა და ქარისაგან უსახელო საზოგადოების ცხენები.

✦ ხვალ, 18 ივნისს, ქალაქის საბჭოს უკანასკნელს სხდომაზე განსახილველად დანიშნულია სულ 20 საქმე, რომელნიც დარჩნენ განუხილველნი 11 ივნისს.

✦ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას 20 წლის განმავლობაში დაუხარჯავს არა დანიშნულებისამებრ **პირველ საობლიგაციო სესხიდან** 110,201 მ. და 14 კ. ქალაქის საფინანსო კომისიის აზრით, ეს ფული უნდა ჩაითვალოს ვალად, რომელიც ქალაქმა უნდა გარდაიხადოს 3 წლის განმავლობაში მომავალ წლიდან დაწყებული: პირველ წელს—36,201 მან. 14 კ., მეორეს—37,000 და მესამე წელს ამდენივე.

✦ **ობოლთა სასამართლოს** თავმჯდომარემ აღძრა საკითხი ხსენებულ სასამართლოს საშუალებათა გასაძლიერებლად. აქამდე მთელი საჭირო ხარჯი აწევს ქალაქის თვითმმართველობას და არც ვაჭრობის, არც მოქალაქეებისა და არც ხელოსნების გამგეობა ამ მხრივ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ და ახლაც უარს ამბობენ, რომ ხარჯი გაიღონ ამ დაწესებულებებისათვის. ქალაქის გამგეობის წევრის ბ. შესტაკოვის აზრით კი ხსენებული გამგეობანი კანონის ძალით მოვალენი არიან მიიღონ მონაწილეობა საობლო სასამართლოს შენახვაში. ამიტომ იგი ხელმეორედ შეეკითხა ამ დაწესებულებათ, თუ როგორ უნდათ მიიღონ ეს მონაწილეობა

✦ მოგვყავს ციფრები ზოგიერთ ქალაქების მომავალ-წლის ხარჯთ აღრიცხვიდან:

ქუთაისისა უდრის 244,480 მანეთს, სულზე მოდის—5,6 მ. ქალაქის მთელი ქონება დაფასებულია—7,481,980 მ. დასაფასებელ გადასახადისაგან შემოდის—72,643 მან.

განჯისა—112,971 მ., სულზე მოდის—3,4 მ. ქალაქის მთელი ქონება დაფასებულია 5,886,908 მ. დასაფასებელ გადასახადისაგან შემოდის—58,869 მ.

ფოთისა—802,526 მ.; ქალაქის ქონება—1.303,760 მ. სულზე მოდის—102 მ. ეს პირველის შეხედვით არა ნორმალური მოვლენა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფოთში ეხლა სწარმოებს მეტად დიდი მუშაობა ნავთსადგურის გაფართოებისა და მოწყობისა.

✦ ტფილისში დაბრუნდა კავკასიის სამხედრო საექიმო ნაწილის უფროსი დ. ს. ს. **მალინინი**.

✦ ბაქოში საშინელი სიცხეებია თურმე. დღე—40$^0/_0$. ზღვაში—22$^0/_0$ და კიდევ მეტი.

✦ გუშინ კოჯორში საგარაკოდ წავიდა ამიერ კავკასიის **ქალთა ინსტიტუტის** უკანასკნელი პარტია.

✦ გუშინ წინ პოლიციის მე-9 ნაწილში მისულა ქუთაისის მაზრის, სოფ. დიდ-ჯიხაიშის მცხოვრები ნოე დ. ლეჟავა და გამოუცხადებია, რომ ოთხშაბათს, 13 ივნისს, დღისით, მის შინ არ ყოფნის დროს, ავჭალის ქუჩაზე, პარუმ სარქისოვის სახლში, მისი ბინა გაუღია მასთან სტუმრად მოსულს ქუთაისისავე მაზრის მცხოვრებს ვასილ სოფრონისძე რუსაძეს და წაუღია ორი ხანჯალი, ერთი ფიჯაკი, ერთი ქუდი და ფული, სულ 100 მან. და გაპარულა თავის სოფელშიო; პოლიციის მიუგნია 10 მან. ღირებული ქუდი, რომელიც 3 მან. 50 კაპ მიუყიდნია რუსაძეს ვიღაც კოსტა ლომიძისათვის, ხოლო დანარჩენი ნივთები ვერ აღმოუჩენიათ. პოლიციას მიუწერია ქუთაისის მაზრის უფროსისათვის შეპყრობილი გამოგზავნონ აღნიშნული რუსაძე გამოძიების მოსახდენად.

პროვინცია

კახეთი. არა დროს არ მოაქვს ისეთი ზარალი სეტყვას, როგორც გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს. სხვა დროს რომ მოვიდეს სეტყვა, ერთ-ერთი მოსავალი—მაინც გადარჩება. გაზაფხულზე-კი სეტყვა ერთი საათის განმავლობაში მიწასთანასწორებს. იმის გარდა, რომ გლეხ-კაცს ცარიელზე დასვამს ჭირნახულიდან და ღვინის მოსავლიდან, ვაზის რქას საგაისოდაც აზიანებს და სიკვდილის პირზე აყენებს.

ამიტომაც არის, რომ დიდს თუ პატარას, კაცს თუ ქალს, თავადს თუ გლეხს, რა დაინახავს ერთი ბეწვა დაკუწულ დრუბელს (სეტყვის ნიშანს), შიმშილი თვალ-წინ ებადება.

წელს რაკი მაისი მშვიდობიანად გავიდა და თიბათვე დადგა, გულში სიხარული გვიღვივოდა და მოუთმენლად ველოდით თიბათვის გასვლას, როცა ქერები გაილეწებოდა და ყანები გაიჭრებოდა. მაგრამ სიხარული მოუსწრო და მოლოდინი გაუცრუვა შვიდმა თიბათვემ ქვემო კახეთის ნაწილს; სოფ. ვაჩნაძიანის, კალაურის და შაშიანის მცხოვრებნი, ვიდრე პირში სული უდგათ, არ დაივიწყებენ თავიანთ დამღუპავ 7 თიბათვეს.

ამ დღეს დილითვე აიშალა შემზარავი ღრუბელი, რომელიც გადაეფარა დასახელებულ სოფლებს შიგ სუდარივით. შუადღისას გაისმა საშინელი გრგვინვა და წამოაყარა აქა-იქ მსხვილი სეტყვა. მალე ასტყდა არა ჩვეულებრივი ელვა-ქუხილი და დაიწყო დიდი ნიაღვარი. საუბედუროდ, ნიაღვარი სეტყვად შეიცვალა, რომელიც სრული ერთი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდიოდა დამდგარ ჭაერში. შემდეგ, რაკი გული იჯერა და მირეკა-მორეკა ყველა მცენარეულობა, ისევ დაიწყო კოკისპირული წვიმა, გზების რუები ხევებად გაჰხადა, ხევები დიდმდინარეებად. გაშმაგებული წყალი ვეღარ დაეტია თავის კალაპოტში, გადვიდა აქეთ-იქით ნაპირებზე და მოედო ყანებს და რაც სეტყვისაგან ალაგ-ალაგ ყანები გადარჩა, ნიაღვარმა გააფუჭა და მოიტაცა. სოფლის ორღობეებში იმოდენა წყალი მოვარდა, რომ მცხოვრებნი, რომელნიც ბოლოებზე იმყოფებოდნენ სამუშაოთ, იძულებულნი შეიქმნენ იქამდის მოეცადნათ, ვიდრემდის წყალი დაპატარავდებოდა.

ამ დღეს სეტყვისაგან და ნიაღვრისაგან დაზარალდა: სოფ. ვაჩნაძიანი და კალაური ბოლოზე, ჭირნახულის და ყურძნის გარდა, ვაზის რქაც ისე დააზიანა, რომ, როგორც ამბობენ, ორ სამ წელიწადს ვერ გამობრუნდება. ამ სოფლების ბოლოზე პატარა მანძილზე ყანები გადარჩა, მაგრამ ესეც ნიაღვარმა გააფუჭა. სოფ. შაშიანში სოფლის თავი დასეტყვა ისეთივე სიძლიერით, როგორც კალაურში და ვაჩნაძიანში. ბოლოს-კი დიდი ზარალი მისცა ნიაღვარმა და ადიდებულმა ხევებმა. კალაურის ხევი «წიღიანა» ისე ადიდდა, რომ მოიტაცა ორი ბოგირი, გზა საჟენის სიმაღლეზე ჩახრამა და გააფუჭა.

ზარალი დიდია, ყოველ სოფელში რამდენიმე ას თუმნობით ანგარიშობენ. ადმინისტრაციის მიერ საჭირო ზომებია მიღებული ზარალის გამოსარკვევად.

დიმიტრაშვილი.

ქ. თელავი. კვირას, 10 ივნისს, თელავის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში, სწავლის და გამოცდის გათავების შემდეგ გამართა აქტი. დარბაზი ჩვეულებისამებრ მორთული იყო ყვავილებით, გვირგვინებით და სურათებით. პარაკლისის გარდახდის შემდეგ შეგირდების ორკესტრმა შეასრულა «ღმერთო ჰფარვიდე მეფესა.» შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორმა მააგნიაშვილმა წაიკითხა გასული წლის ანგარიში. წელს ოცი წელიწადი სრულდება, რაც ეს სკოლა სამკლასიან სამოქალაქო სასწავლებლად გადაკეთებულა; ამ ოც წელიწადს, რაც დრო გადის, იმდენი უფრო უმჯობესდება სასწავლებლის მდგომარეობა. უკანასკნელი კლასი, რომელშიაც ორი განყოფილებაა, ერთად იყო მოთავსებული, შარშანდლიდან კი განაცალკევეს. სასწავლებლის ბიბლიოთეკას ყოველ წლივ ემატება წიგნები; ასე რომ ეხლა ბიბლიოთეკა შეიცავს რამდენსამე ათას ტომს, რომლის ფასი დიდ ჯამს შეადგენს; სასწავლებელთან დაარსებულია ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი კომიტეტი; ეს კომიტეტი დიდ შეღავათს აძლევს ღარიბ შეგირდებს სწავლის ფულის გარდახდით და სხვ.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, შეგირდებმა დაიწყეს ლექსების კითხვა რუსულ ქართულად. ლექსების კითხვაში საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოწ. სიდამონიძემ; ქართული ლექსი, თავისივე შედგენილი, «მომაკვდავი ბური» ისე მშვენიერად წაიკითხა, გრძნობით და ხმის შერჩევით, რომ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ტაშის კვრით დააჯილდოვა. აქტის ამავე განყოფილებაში ხორო ასრულებდა სიმღერებს ბ. ტურინიკის ლოტბარობით და ორკესტრი კიდევ უკრავდა სხვა და სხვა ხმებს.

ბოლოს მასწავლებელმა კნ. მელიქიშვილმა წაიკითხა სია იმ მოსწავლეების, რომელნიც გადაყვანილ იქმნენ შემდეგ კლასებში და ან რომელთაც დაენიშნათ განმეორებითი გამოცდა, ხოლო შემდეგ კი, ვინც სწავლა გაათავა, ამათ ატესტატები დაურიგეს. წელს სწავლა გაუთავებიათ 12 მოსწავლეს. მათ შორის 7 ქართველია, 4 სომეხი და ერთი რუსი. ქართველების გვარები: ნ. არჯევანიძე, ილ. ბოჭორაშვილი, იოს. ჟვიიძე, ივ. კააძე, ა. ფარსადანოვი, ა. სიდამონიძე და დ. თვალთქროვი.

აქტს იმოდენა ხალხი დაესწრო, უმეტესობა მოსწავლეების მშობლები, რომ დარბაზში ვერ იტევდა და ბევრნი იძულებულნი შეიქმნენ, დერეფანში და გარედ მდგარიყვნენ. აქტი გათავდა ორის ნახევარზე და საზოგადოება შეგირდებმა მუსიკის კვრით გააცილეს.

დიმიტრაშვილი

საღამოს დეპეშები

16 ივნისი.

პეტერბურგი. ბიულეტენი, 14 ივნისს: „დიდ-მთავრინა მარიამ გიორგის ასულს სწრაფად ღონე ემატება, თავს კარგად გრძნობს და მალე სრულიად მორჩება. ახლად დაბადებული მთავრინა ნინა გიორგის ასულიც კარგად ბრძანდება.

ცარიცინი. ცეცხლი ჩააქრეს; 24 ხე-ტყის საწყობი, 20 ნავი, 4 დიდი და რამდენიმე პატარა სახერხავი ქარხანა დაიწვა; ქალაქის განაპირა უბნები ელშანკა და კუპოროსნოე დაზარალდნენ; ცეცხლმა კაცებიც იმსხვერპლა. ზარალი 5 მილიონამდე ადის.

კარლსრუე. დიდმა ჰერცოგმა, თხოვნის თანახმად, მინისტრ-პრეზიდენტი ნოკკი სამსახურიდან დაითხოვა და მის ადგილას გარეშე საქმეთა მინისტრი ბრაუერი დაინიშნა. სახელმწიფო პროკურორი ბარონი დუში იუსტიციისა, სარწმუნოებისა, საერო განათლებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების პრეზიდენტად დაინიშნა.

ნიუ იორკი. მაკლერის ფირმა „მარკანდ კამპანია“ გაკოტრდა.

პეკინი. ელჩებს დღევანდელ სხდომაზე საყურადღებო მსჯელობა არა ჰქონიათ-რა.

პარიჟი. პალატამ კანონ პროექტი ასოციაციების შესახებ იმ სახით დაამტკიცა, როგორც სენატმა მიიღო.

პეკინი. ლიხუნჩანგმა პროვინცია შანსის გუბერნატორისაგან დეპეშა მიიღო. დეპეშაში ნათქვამია, რომ ცნობა ბელგიელ მისსიონერის მოკვლის შესახებ—ტყუილი გამოდგა; პროვინციაში სრული მშვიდობიანობაა.

უაშინგტონი ინგლისელმა პატარა რაზმმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელს დღეს გასტანა, კანროის რაზმი სიმაგრიდან განდევნა. ბურებს 5 კაცი მოუკლეს. ინგლისელებმა ერთი კაცი დაატყვევეს და ბევრი ცხენი ჩაიგდეს ხელში.

პეტერბურგის ბირჟა 15 ივნისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,22$^1/_2$
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5$^1/_2$—7$^0/_0$
4$^0/_0$ სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4$^1/_2$$^0/_0$ შინაგანი სესხი 1893 წ.	100 „
4$^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5$^0/_0$ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	372$^1/_2$ გაყიდ.
5$^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	299 მყიდვ.
5$^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	218$^3/_4$ გაყიდ.
3$^1/_2$$^0/_0$ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89$^1/_4$ გამყიდვ.
5$^0/_0$ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$$^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5$^0/_0$ გირავნ. ფურცლ	—
4$^1/_2$$^0/_0$ გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	85 მყიდვ.
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6$^0/_0$ გირ. ფურცლ	—
5$^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლის“

წლიური კრება დანიშნულია ამა ივნისის 26 საღამოს შვიდ საათზე ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რადგან წარსულს მაისის 20 დანიშნული ამნაირივე კრება არ შესდგა, კანონიერი წევრთა რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში, 2) მოხსენება გამგეობისა წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლაზედ და დამატებაზედ, 3) მოხსენება გამგეობისა იმაზედ, თუ რომელი საგნებით სჯობს ვაჭრობა საზოგადოებისათვის, 4) მოხსენება იმ წევრებზედ, რომელთაც სრულად არ აქვთ საწევრო ფული შემოტანილი და 5) მოხსენება გამგეობისა წილის ფულის გადიდებაზედ. (3—1)

ეტიუდები! თ. ხუსკივაძისა ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили (10—3)

ცარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქმ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

Дозволено цензурою Тифлисъ, 16 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.